საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 17 ივნისის
დადგენილება № 483

,,მაგისტრატურის შესახებ”- საქართველოს
ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
№4 დადგენილებაში ცვლილებების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. ,,მაგისტრატურის შესახებ’’ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №4 დადგენილებას დაემატოს პუნქტი 7.9 და იგი იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით:
”7.9. მაგისტრანტებს, რომლებმაც გეგმურ ვადაში არ წარადგინეს საკვალიფიკაციო ნაშრომი დასაცავად, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით დამატებითი სემესტრის/სემესტრების აღებისას, შესაბამისად დაეკისროთ სემესტრის/სემესტრების საფასურის გადახდა.”

2. შეიცვალოს პუნქტი 3.5 და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
”3.5.პროგრამის სტრუქტურა

- წარმოდგენილი უნდა იყოს ცხრილის სახით, სტუ-ში მიღებული ფორმით; საგნების/მოდულების ჩამონათვალი; მათი კრედიტები და განაწილება სემესტრების მიხედვით. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სქემა მოცემულია დანართ 5-ში.
- მითითებული უნდა იყოს საგნის/მოდულის სტატუსი – ძირითადი თუ არჩევითი. ამ უკანასკნელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს პროგრამის საერთო მოცულობის 50%-ს.
- პროგრამის მოცულობა – 120 კრედიტი; აკადემიური წლის განმავლობაში – 60 კრედიტი, სემესტრში – 30 კრედიტი.
- სასწავლო კომპონენტი (სასწავლო კურსები) – 75 კრედიტი, კვლევითი კომპონენტი, საკვალიფიკაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა – 45 კრედიტი.

დანართი 5

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სქემა

№	საგნის კოდი	**სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტები**	I წელი		II **წელი**		სულ, კრედიტები
			I სემესტრი	II სემესტრი	I სემესტრი	II სემესტრი	
1.		სასწავლო კომპონენტი (სასწავლო კურსები)	30	25	20		75
2.		კვლევითი კომპონენტი		5	10		15
3.		კვლევითი კომპონენტი, საკვალიფიკაციო ნაშრომის დასრულება და დაცვა				30	30
ECTS კრედიტები		სემესტრში	30	30	30	30	120
		სწავლების წელს	60		60		120

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე